

შპს ვეტაგრო

ს/კ 400013347

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	გვ. 1-2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	გვ.3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	გვ. 4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	გვ. 4
განმარტებითი შენიშვნები	გვ. 5-11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

აქტივები	2023	2022	2021
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	514616	767677	464620
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	181562	206693	93943
სხვა მიმდინარე აქტივები	11504	570	4873
სულ მიმდინარე აქტივები	707682	974940	563436

სასაქონლო მატერიალური მარაგები			
მარაგები	375731	278555	257525
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	375731	278555	257525

გრძელვადიანი აქტივები			
სხვა არამატერიალური აქტივები	3886	3886	2470
ძირითადი საშუალებები	1160655	319868	330269

სულ გრძელვადიანი აქტივები	1164541	323754	332739
----------------------------------	----------------	---------------	---------------

სულ აქტივები	2247954	1577249	1153700
---------------------	----------------	----------------	----------------

კაპიტალი და ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	43215	211323	75116
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4910	6920	0
საგადასახადო ვალდებულებები	7901	60911	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები	56026	279154	75116

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	473736	99145	223499
---------------------------------	--------	-------	--------

სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	473736	99145	223499
---------------------------------------	---------------	--------------	---------------

საკუთარი კაპიტალი

გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	1587373	1198950	820085
გადაფასების რეზერვი	130819	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	35000
სულ საკუთარი კაპიტალი	1718192	1198950	855085
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2247954	1577249	1153700

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2023	2022
ამონაგები ძირითადი საქმიანობიდან	2610062	2218926
რეალიზებული პროდუქციის თვით ღირებულება	-1656523	-1472525
საერთო მოგება	953539	746401

საოპერაციო ხარჯები

დასაქმებულთა ანაზღაურება	-261714	-172990
ცვეთა და ამორტიზაცია	-18294	-11180
საპროცენტო ხარჯი	-28306	-8099
იჯარის ხარჯი	-78090	-41029
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-94891	-58689
სულ საოპერაციო ხარჯები	-481295	-291987

სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

სხვა საოპერაციო შემოსავალი	12438	8575
წმინდა შემოსულობა /დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-34435	-14124
მოგება /ზარალი	450247	448865
მოგების გადასახადის ხარჯი	-8842	
საანაგიშო პერიოდის მოგება/ზარალი	441423	448865

სხვა სრული შემოსავალი /ზარალი

ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	130819	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	572242	448865

2023 წლის კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	2023	2022
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1198940	855085
მოგება ზარალი	441423	448865
განაწილება მესაკუთრეებზე	-53000	-70000
კაპიტალის სხვა ცვლილებები	130819	-35000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1718192	1198950

**2023 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის
ანგარიშგება**

ფულადი სახსრების მოძრაობა	2023	2022
წმინდა ფულადი სახსრები	-253061	303057
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ექვივალენტებში	-253061	303057
ფული და ფულის ექვივალენტები		
წლის დასაწყისში	767677	464620
ფული და ფულის ექვივალენტები		
წლის ბოლოს	514616	767677

შპს ვეტაგრო
ს/კ 400013347

**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)**

ძირითადი საქმიანობა

ძირითადი საქმიანობა შპს ვეტაგრო (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც დაფუძნდა 2010 წლის 21 დეკემბერს, დღეს გადამხდელია 2014 წლის 29 დეკემბრიდან. კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

გიორგი ჭელიძე დამფუძნებელი, 100 % წილის მფლობელი.

საქმიანობები: შინაური ცხოველების (ძაღვი, კატა) საკვების იმპორტი, საცალო და საბითუმო რეალიზაცია, ვეტერინარული პრეპარატების საცალო რეალიზაცია, ცხოველების და ფრინველების აქსესუარების საცალო რეალიზაცია, ვეტერინარული საქმიანობები. კომპანიას აქვს ორი ფილიალი, თბილისი ცოტნე დადიანის ქ. #18, თბილისი თევდორე მღვდლის ქ. #5, საწყობი ჭირნახულის ქ. #14.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად. არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2022-2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას. 2021, 2022 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებულია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს,

მოქმედს 2023 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2022 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად.

ამონაგების აღიარება ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არანაზღაურებადი შემენის გადასახდების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახადების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული. აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის: ძირითადი საშუალების ჯგუფი სასარგებლო პერიოდის ვადა

შენობა-ნაგებობები 20-30 წელი

ავტო სანტრასპორტო საშუალებები 5-10 წელი

კომპიუტერული და ელექტრონული მოწყობილობები 3-7 წელი

ავეჯი და სხვა ინვენტარი 5-7 წელი

ძირითადი საშუალების ერთეული ჩამოიწერება ლიკვიდაციისას ან როდესაც მისი გამოყენების ან გასხვისებისგან აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებელი. ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის ჩამოწერისას (გაანგარიშებული, როგორც სხვაობა განკარგვის წმინდა შემოსავალსა და აქტივების საანგარიშო ღირებულებას შორის) შედის მოგება-ზარალის ანგარიშში.

სასაქონლო მატერიალური მარაგები სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

მოგების გადასახადი მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. განახლებული საკანონმდებლო ბაზის მიხედვით კომპანიას არ უწევს მოგების გადასახადის გადახდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება დივიდენდების გატანით ან სხვა ფორმით.

საანგარიშგებო პერიოდში დამფუძნებელზე გაიცა დივიდენდი 53000 ლარის ოდენობით, რომლის მოგების გადასახადმა ე.წ. „ესტონური მოდელით“ გამოთვლის საფუძველზე შეადგინა 8842 ლარი

ამონაგები კომპანია საქმიანობს სავაჭრო სექტორში და მისი შემოსავლები ძირითადად ფორმირდება რეალიზებული საქონლის ღირებულებისგან. 2023 წლის განმავლობაში საქონლის რეალიზაციით კომპანიის ამონაგებმა შეადგინა 2610062 ლარი. ასევე სხვა შემოსავლებმა (პარტნიორი კომპანიისგან უსასყიდლო მოწოდება) შეადგინა 12438 ლარი.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
დასაქმებულთა ანაზღაურება	-261714	-172990
ცვეთა და ამორტიზაცია	-18294	-11180
საპროცენტო ხარჯი	-28306	-8099
იაჯარის ხარჯი	-78090	-41029
სხვა საოპერაციო ხარჯი	-94891	-58689

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს საპენსიო შენატანებს, კომუნალურსა და კომუნიკაციის ხარჯებს, ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯებს, სამეურნეო მარაგების ხარჯებს, მივლინების ხარჯებს, თანამშრომელთა ტრენინგის ხარჯებს, საოფისე მარაგების შეძენას, საწვავის ხარჯებს და საოფისე ტექნიკის, მოვლასა და რემონტს.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად იმ შემთხვევაში,თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის ყველა რისკი და სარგებელი,ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება , როგორც საოპერაციო იჯარა.

სოპერაციო იჯარის შემთხვევაში გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება,როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის გადასახადი საანგარიშო პერიოდში შეადგენს 78090 ლარს

საპროცენტო ხარჯები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ დანახარჯებში, როდესაც იქნა გაწეული.

2023 წელს საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 28306 ლარი.

მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით

მიმდინარე სესხი სს თიბისი ბანკი --- დასაწყისი 21.04.2023 დასასრული 20.04.2027

საპროცენტო განაკვეთი ეფექტური 8,67%

2023 წლის საანგარიშო პერიოდის ბოლოს სესხის დარჩენილი თანხა შეადგენს 473736 ლარს.

სასესხო ვალდებულება არის უცხოურ ვალუტაში და საანგარიშო წლის ბოლოს გადანგარიშებულია 2023 წლის 31 დეკემბრს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბრს არსებული კურსით.

საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსულობა/ზარალში.

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები ლარში	202082	214181
ფულადი სახსრები ვალუტაში	312534	553496
	514616	767677

სასაქონლო მატერიალური მარაგები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სასაქონლო მატერიალური მარაგები	375731	278555

სავაჭრო მოთხოვნები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	181562	206693

სავაჭრო ვალდებულებები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	43212	211323

ძირითადი საშუალებები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	125341	125341
დაუმთავრებელი მშენებლობა	156044	38572
შენობა ნაგებობები	826973	115770
სატრანსპორტო საშუალებები	40273	28043
ოფისის აღჭურვილობა	5167	5610
ავეჯი და სხვა ინვენტარი	6857	6532
სულ ძირითადი საშუალებები	1160655	319868

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები 3886 ლარი პროგრამა FINA, ვებგვერდი.

სხვა შემოსულობა/ზარალი 2023 საანგარიშგებო წელს სხვა შემოსულობა ზარალი მოცავდა სარგებელს შენობა ნაგებობის გადაფასებიდან რაც შეადგენს 130819 ლარს.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით

დირექტორი

თბილისი საქართველო 23 სექტემბერი